ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის
ოქმი №3

29 ოქტომბერი, 2025 წელი

2025 წლის, 29 ოქტომბერს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის, 23 ივლისის ბრძანებით (ბ60. 60252049) შექმნილი ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

სხდომას ესწრებოდნენ:
- გერასიმე მჟავანაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარე.
- თამარ უგულავა - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - ჯგუფის ადმინისტრატორი.
- ნანა კაკაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - ჯგუფის მდივანი.
- ლევან ჩიხლაძე -ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი.
- გიორგი ბარაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის, არქიტექტურის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი.
- მარი რუხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი.
- ბაჩანა ბასილაია - ა(ა)იპ ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი - ჯგუფის წევრი.

დღის წესრიგი

ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების 2025 წლის პროექტის "იყავი თანამმართველი და ჩაერთე განვითარებაში" ფარგლებში ელექტრონული ხმის მიცემის შედეგად გამარჯვებული პროექტების განხილვა.

მოისმინეს:
სამუშაო ჯგუფის ადმინისტრატორმა თამარ უგულავამ დამსწრეებს გააცნო ელექტრონულ პლატფორმაზე tanammartveli.ge მოქალაქეების მიერ, ხმის მიცემის შედეგად გამარჯვებული პროექტები.
სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს პროცესის მიმდინარეობა, გამარჯვებული პროექტები და დაადგინეს, რომ გამარჯვებული 5 პროექტი:

1. ქ. ხონში, აფხაზეთის ქუჩაზე მდებარე ტაძრის ეზოს შემოღობვა;
2. ქ. ხონში, ცენტრალურ ბულვარში საბავშვო სივრცის მოწყობა;
3. ქ. ხონში, ნ. დუმბაძის I ჩიხში სტადიონის განახლება-მოწყობა;
4. ქ. ხონში, ირ. აბაშიძის №10-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

5. ქ. ხონში, იპ. ხვიჩიას ქუჩაზე სკვერის მოწყობა;

გადაეცეს შესაბამის სამსახურებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: გერასიმე მჟავანაძე _____